



**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი**



MES 1 21 0000044744



30/01/2021

**ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის
„ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის
მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ**

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში აკრედიტაციის დებულების) 27² მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ამავე დებულების 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კარგავს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მიღების უფლებას;

ბ) ის სტუდენტი, რომელიც სწავლობდა სახელმწიფო დაფინანსებით, უფლებამოსილია გადავიდეს სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების დარჩენილი ოდენობა გადაიტანოს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება წყვეტს რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. ამ შემთხვევაში სტუდენტებს 5 წლის განმავლობაში უჩერდებათ სტუდენტის სტატუსი და უფლებამოსილი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით.

1.4 აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-7¹ პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 26 აგვისტოს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში -ცენტრი) წარმოადგინა №-109/01/1 (ცენტრში რეგისტრაციის №-1090990) სააკრედიტაციო განაცხადი „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 16 სექტემბრის № 839 ბრძანების საფუძველზე, ა(ა)იპ -საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 22 ნოემბერს №1129 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 09 დეკემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში, ხოლო 2020 წლის 17 იანვარს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან		✓		

ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

2.3. საბჭოს 2020 წლის 28 თებერვლის №09 გადაწყვეტილებით, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე.

2.4 2020 წლის 28 მაისს სააპელაციო საბჭოს წარედგინა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის №48/01/1 კორესპონდენციით წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი.

2.5 სააპელაციო საბჭოს 2020 წლის 21 აგვისტოს №MES 1 20 0000715954 გადაწყვეტილებით, საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

2.6 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მადიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, აკრედიტაციის საბჭოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება.

2.7. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 22 იანვარს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მადიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის და სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. თუმცა გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებითა და ზეპირი მსჯელობის საფუძველზე მიიჩნია, რომ შეფასება უნდა იყოს შემდეგნაირი: მე-2 სტანდარტი ნაცვლად, „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ უნდა შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. მე-4 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ უნდა შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 3¹ და 3³ პუნქტების, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 3¹ და 3³ პუნქტების, 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, 28⁸ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების და 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების

შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვეტა:

1. უარი ეთქვას ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ამ გადაწყვეტილების დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

2. ცნობილ იქნას „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 30 იანვრის №44735 სხდომის ოქმის №2 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

4.1. რეკომენდაციები:

ა) „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს უნივერსიტეტის მისიასთან.

ბ) პროგრამის არჩევითი საგნების უმეტესობა ზოგადად რელიგიის ისტორიის მიმართულებისაა, შესაბამისად პროგრამა უფრო მეტად უნდა დაიტვირთოს ქრისტიანობის ისტორიის დისციპლინის კურსებით.

გ) სასწავლო კურსში „თანამედროვე რელიგიური მოძრაობები“ დასაზუსტებელია თემატიკა (თემა N3, N4, N5, N6, N7).

დ) საფუძვლიანად არის გადასამუშავებელი სასწავლო კურსი „ქრისტიანობის ისტორიის აქტუალური პრობლემები“.

ე) არჩევითი სასწავლო კურსი „ბიბლიური არქეოლოგია“ საბაკალავრო საფეხურის კურსია, შესაბამისად ის ამოღებულ უნდა იქნეს პროგრამიდან.

ვ) უსდ-მ, ფაკულტეტმა და პროგრამის ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართვაზე.

ზ) ამჟამად პროგრამაზე ჩარიცხული 4 დოქტორანტიდან უმრავლესობას არ აქვს მკაფიოდ განსაზღვრული საკუთარი სადოქტორო თემის მონახაზი და სამუშაო გეგმა. დამაფიქრებელია დოქტორანტების მიერ დასახელებული სავარაუდო სადისერტაციო თემების დისერტაბელურობა.

თ) დაზუსტდეს და განისაზღვროს სილაბუსებში დასკვნით გამოცდაზე გამსვლელი ქულის მინიმუმი.

ი) სილაბუსები უნდა ითვალისწინებდეს კურსის შინაარსს და სპეციფიკას და ამის შესაბამისად, ინდივიდუალურად უნდა გაიწეროს სწავლების აქტივობები და შეფასების კრიტერიუმები.

კ) საჭიროა უნივერსიტეტმა შეიმუშაოს შეფასების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი.

ლ) მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა მოიძიოს და მოიწვიოს შესაბამისი გამოცდილების მქონე, მაღალკვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, შეძლებენ სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიონ დოქტორანტებს და გარდა ამისა, მნიშვნელოვნად ჩაერთვებიან პროგრამის განვითარების პროცესშიც. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროგრამის მდგრად ფუნქციონირებას.

მ) გაიზარდოს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის (დოქტორანტის პოტენციური ხელმძღვანელების) რაოდენობა მათი საკვლევი თემატიკის მრავალფეროვნების გათვალისწინებით.

4.2 რჩევები:

ა) სასურველია პროგრამას დაემატოს ისეთი სასწავლო კურსი, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტისთვის სამეცნიერო მენეჯმენტის უნარ-ჩვევების ათვისებას.

ბ) ვინაიდან სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა უმრავლესობას წინა საფეხურების განათლება მიღებული აქვთ 2006 წლის საგანმანათლებლო რეფორმამდე და შესაბამისად არ აქვთ გავლილი აკადემიური წერა, სასურველია პროგრამის არჩევით ბლოკს დაემატოს სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“.

გ) სასურველია სპეციალობის სავალდებულო კურსს „ქრისტიანული ღვთისმეტყველების ისტორია“ მოეხსნას წინაპირობა ისეთი სასწავლო კურსების, როგორიცაა „მეცნიერული კვლევების მეთოდოლოგია“ და „სწავლების და შეფასების სტრატეგიები“. კურსის წინაპირობად დარჩეს სასწავლო კურსი „ქრისტიანობის ისტორიის აქტუალური პრობლემები“.

დ) პროგრამაში სასწავლო კურსები უთანაბროდაა გადანაწილებული აკადემიურ პერსონალს შორის, ერთი აკადემიური პერსონალი კითხულობს ოთხ სასწავლო კურსს (20 კრედიტი), მაშინ, როდესაც დარჩენილი 20 კრედიტი გადანაწილებულია სხვა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე (10 კრედიტის ფარგლებში ხორციელდება პროფესორის ასისტენტობა და საცდელი ლექციის მომზადება).

ე) პროგრამის მდგრადობისთვის სასურველია დოქტორანტთა ხელმძღვანელების რიცხვის გაზრდა.

ვ) პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის, სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს ერთიანი სტრატეგია.

ზ) სასურველია უნივერსიტეტმა შექმნას სტუდენტთა ელექტრონული პორტალი.

თ) სასურველია უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.


ი) სასურველია არ მოხდეს საქმისწარმოებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახურისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციების გადაფარვა.

კ) პროგრამის ხელმძღვანელმა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უნდა იზრუნონ დოქტორანტთა რაოდენობის გაზრდაზე, რათა პროგრამა გახდეს ფინანსურად მდგრადი.


5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 22 იანვარს

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 241 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა



№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქრისტიანობის ისტორია
2	ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 24 აგვისტო, №106;
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ისტორიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0102, დ. უზნაძის ქ. N68
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 22 იანვარი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-